ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტია გურჯისტანის ვილაიეთის დემოგრა-ფიული ვითარების ანალიზი 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. კვლევისათვის გამოყენებულია ს. ჯიქიას მიერ თურქული ხელნაწერი ძეგლის ქართული თარგმანი [1941] და ალ. ასლანიკაშვილის „გურჯისტანის ვილაიეთის რუკა“, მასშტაბი 1:30, 000 [1953].

გის-ტექნოლოგიების გამოყენებით დადგინდა გურჯისტანის ვილაიეთის დასახლებული პუნქტებისა და მოსახლეობისტერიტორიული განაწილების თავისებუ-რებანი ადმინისტრაციციული ერთეულების (ლივები,ნაჰიეები) მიხედვით. იმდროინ-დელი საგადასახადო სისტემის ანალიზით შესაძლებელი გახდა მუსულმანთა და არამუსულმანთა მოსახლეობის რაოდენობების განსაზღვრა ცალკეული ადმინისტრაცი-ული ერთეულების მიხედვით.დადგენილ იქნა დასახლებულ და დაუსახლებელსო-ფელთარაოდენობა. გაანალიზდაიმდროინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემა. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი გურჯისტანში შემავალი ლივების და ნაჰიეების მდებარეობა, საზღვრები და ფართობები, რისთვისაც ზემოთ აღნიშნული რუკის გარდა, გამოყენებულია საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკა (მასშტაბი 1:25,000).

კვლევის შედეგებისვიზუალიზაციის მიზნით, ნაშრომში ჩართულია მრავალი თემატური რუკა, დიაგრამა და ცხრილი.